საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1189

2017 წლის 12 ივნისი

ქ. თბილისი

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის კოლხეთი-მარტვილის სატყეო უბნის გაჭედილის სატყეოს კვარტალ №7-ის ლიტერ №12-ში 3115 კვ.მ მიწის ფართობზე სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის კოლხეთი-მარტვილის სატყეო უბნის გაჭედილის სატყეოს კვარტალ №7-ის ლიტერ №12-ში 3115 კვ.მ მიწის ფართობზე სასოფლო-სამეურნეო მიზნით (საქონლის დროებითი სადგომის მოსაწყობად) ტყითსარგებლობის ვადა განისაზღვროს 10 (ათი) წლით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი